ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ადიგენის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭო (შემდგომში - ახალგაზრდული საბჭო) წარმოადგენს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2. ეს დებულება განსაზღვრავს ახალგაზრდული საბჭოს მიზანს, უფლებამოსილებას და სტრუქტურას, მისი წევრების არჩევის წესს, უფლება-მოვალეობებს, მუშაობის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს.

მუხლი 2. ახალგაზრდული საბჭოს მიზანი

ახალგაზრდული საბჭოს მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

1. ამ მიზნის მისაღწევად ახალგაზრდული საბჭო:

ა) მონაწილეობს მუნიციპალიტეტის მერიისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების პროგრამების დაგეგმვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, რომლებიც ეხებათ ახალგაზრდებს და შეიმუშავებს შესაბამისს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესების მიზნით;

ბ) შეისწავლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებს და შეიმუშავებს შესაბამისს წინადადებებს და რეკომენდაციებს მათი უზრუნველყოფის მიზნით;

გ) ახდენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირებას მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ახალგაზრდული პოლიტიკის, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ;

დ) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისა და საზოგადოების ინფორმირებას ახალგაზრდობის სფეროში დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებებისა და სიახლეების შესახებ.

მუხლი 3. საბჭოს საქმიანობის მიმართულება

1. საბჭოს საქმიანობის მიმართულებაა:

ა) განათლება და დასაქმება.

ბ) სპეციალური საჭიროების მქონე პირების მხარდაჭერა და დაცვა.

გ) ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.

დ) არასამთავრობო, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

2. საბჭო შეიმუშავებს და წარუდგენს რეკომენდაციებს შემდეგ საკითხებზე:

2.1 განათლებისა და დასაქმების მიმართულებით:

ა)კულტურულ–საგანმანათლებლო ღონისძიებები და პროგრამები: ახალგაზრდები ინფორმირება პროფესიული და უმაღლესი, აგრეთვე სპეციალური პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობათა შესახებ;

ბ).ინოვაციების წახალისება;

გ) ახალგაზრდების ჩართვა საერთაშორისო საგანმანათლებლო და გაცვლით

პროგრამებში;

დ) შრომის ბაზრიდან ინფორმაციის მოპოვება, მოსახლეობის ინფორმირება, პოტენციური დამსაქმებლების ინფორმირება;

3 სპეციალური საჭიროების მქონე პირების მხარდაჭერისა და დაცვის მიმართულებით: რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები, შეზღუდული შესაძლებლობების და სხვა სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მონაწილეობა კულტურულ საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ღონისძიებებში.

4 ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის მიმართულებით:

ა)ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობისა და განათლების დონის გაზრდა.

ბ) დასვენების და გართობის ადგილების მოწყობა.

გ)ახალგაზრდების დასვენებასა და გართობაზე მიმართულ პროგრამები, რომლებშიც ინტეგრირებული იქნება ფიზიკური აქტივობა და რეკრეაციული და საგანმანათლებლო ღონისძიებები.

დ)ახალგაზრდების სპორტულ აქტივობებში ჩაბმა, სპორტული ინფრასტრუქტურის გაფართოება, გაუმჯობესება და ადაპტირება.

ე) ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია სპორტული აქტივობების, მასობრივი კამპანიებისა და სხვა ღონისძიებების მეშვეობით.

ვ) ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშემწყობი მარეგულირებელი მექანიზმების შემუშავება და ინიცირება.

5 არასამთავრობო, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

ა) სხვადასხვა ორგანიზაციებთან ტანამშრომლობა

ბ) პროექტების მოძიება და აქტიური მონაწილეობა

გ) გამოცხადებულ სხვადასხვა აქტივობებში აქტიური ჩართვა

მუხლი 3. ახალგაზრდული საბჭოს შექმნა, შემადგენლობა, მართვა

1. საბჭოს იქმნება ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

2. ახალგაზრდული საბჭო შედგება ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისგან.

3. ახალგაზრდული საბჭო შედგება 25 წევრისგან, რომლებიც კონკურსის წესით შეირჩვიან 2 წლის ვადით. ახალგაზრდულ საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ახალგაზრდული საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა.

4. ამ დებულების მიზნებისთვის ახალგაზრდა არის ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 14-29 წლის პირი.
5. ახალგაზრდული საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს ახალგაზრდა, რომელიც კონკურსის დღისათვის არის 14-25 წლის, საქართველოს მოქალაქე და ცხოვრობს ადიგენის მუნიციპალიტეტში.
6. დაუშვებელია, რომ ახალგაზრდული საბჭოს წევრობის კანდიდატი მუშაობდეს საჯარო სამსახურში.

. 7. საბჭოს ჰყავს საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის ორი მოადგილე. ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ახალგაზრდული საბჭოს არანაკლებ სამ წევრს. საბჭოს თავმჯდომარეს 2 წლის ვადით ირჩევს საბჭო ფარული კენჭისყრით სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით, თავმჯდომარის მოადგილებს კი ნიშნავს საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით.

8. ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარის ერთი და იგივე კანდიდატურა შეიძლება დასახელდეს მხოლოდ ორჯერ.

9. საბჭოს თავმჯდომარე:

ა)ახორციელებს ახალგაზრდული საბჭოს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს;

ბ) უძღვება ახალგაზრდული საბჭოს მუშაობას, საერთო ხელმძღვანელობას უწევს ახალგაზრდული საბჭოს საქმიანობას;

გ) უძღვება სხდომაზე საკითხების განხილვას.

დ) უზრუნველყოფს სხდომის ჩატარების პროცედურების დაცვას;

ე) ადგენს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თანმიმდევრობას;

ვ) საბჭოს მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად აძლევს დავალებებს საბჭოს წევრებს.

ზ) უზრუნველყოფს საბჭოს კომუნიკაციას მუნიციპალიტეტთან და სხვა ორგანიზაციებთან.

თ) იწვევს საბჭოს სხდომებს.

10.ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან გადაყენებისას (გადადგომისას) და ეხმარება მას მისი უფლებამოსილებებისა და მოვალეობების განხორციელებაში.

11. ახალგაზრდული საბჭო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე და/ან მისი მოადგილე.

12. ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების წინადადება შეიძლება დააყენოს ახალგაზრდული საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა ან ახალგაზრდული საბჭოს კოორდინატორმა.

13. ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

14. ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება იწვევს მისი მოადგილეების გადაყენებასაც.

15. ახალგაზრდული საბჭოს სტრუქტურას ადგენს ახალგაზრდული საბჭო ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობა.

მუხლი 4. ახალგაზრდული საბჭოს მუშაობის წესი

1. საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ , შესაძლებელია რიგგარეშე სხდომის მოწვევაც.

2. საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

ა) საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით.

ბ) მერის ინიციატივით.

გ) საბჭოს არანაკლებ 3 წევრის ინიციატივით.

3. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუკი მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. საბჭო გადაწყვეტილებას ღებულობს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

მუხლი 5. საბჭოს იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა და წევრის სტატუსი.

1. საბჭო არის საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც არ არის იურიდიული პირი და არ აქვს სამართლებრივი სტატუსი.

2. საბჭოს წევრობა ნებაყოფლობითია. საბჭოს წევრს არ აქვს საქათველოს შრომითი/სამეწარმეო კანონმდებლობით განსაზღვრული სტატუსი.

3. საბჭოს წევრის მუშაობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 6. საბჭოს გადაწყვეტილებების/რეკომენდაციების სამართლებრივი შედეგი

საბჭოს გადაწყვეტილება/რეკომენდაცია სარეკომენდაციო ხასიათისაა და არ წარმოშობს შესასრულებლად აუცილებელ შედეგს.

მუხლი 7. საბჭოს მუშაობის ხელშეწყობა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საბჭოს საქმიანობას ხელს უწყობს და ორგანიზებაში დახმარებას უწევს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური, რომელიც საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნით გამოყოფს სხდომის ჩატარების ადგილს, უზრუნველყოფს ტექნიკითა და საკანცელარიო მასალებით.